სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 5 23 0000151152

09/02/2023

სსიპ –საქართველოს ტენიკური უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა) შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის და საფასურის დამტკიცების შესახებ“ და სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირების, მობილობის შესახებ ინსტრუქციისა და სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. სსიპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2022 - 2023 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა) მსურველებმა, განცხადებით (დანართი 1) უნდა მიმართონ შესაბამის ფაკულტეტს 2023 წლის 20 თებერვლიდან 24 თებერვლის ჩათვლით;
2. სტუდენტთა შიდა მობილობის წესით საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის პროცესების წარმართვა დაევალოს სტუ–ის სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსს თ.წერეთელს;
3. განცხადებების არსებული წესით რეგისტრაცია დაევალოს სტუ–ის საქმის წარმოების დეპარტამენტს;

4. სტუ–ის ფაკულტეტის მიერ ,,სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ“ დასკვნების მომზადება (დანართი 2) და სტუდენტთა საგანმანათლებლო პროგრამებზე უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა) შესახებ ბრძანების პროექტის (დანართი 3) სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტში წარდგენის ვადა განისაზღვროს არაუგვიანეს 2023 წლის 28 თებერვლისა;
5. 2022-2023 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან სტუ–ის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა) შესახებ ბრძანება გამოიცეს არა უგვიანეს 2023 წლის 6 მარტისა;
6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე–რექტორს ლ.კლიმიაშვილს;
7. ბრძანება განთავსდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
9. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს ფაკულტეტის სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებამ;
10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N64).

ვიცე-რექტორი
კლიმიაშვილი ლევან